გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ონის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   ონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავება

2. **თემატიკა:**

   ადგილობრივ დონეზე საშუალოვადიანი განვითარების დაგეგმვა; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა და მონაწილეობითი ეკონომიკური განვითარების ინოვაციური მოდელების დანერგვა

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

   ონის მუნიციპალიტეტის მერია

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და წარმოადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტი შედგება 19 ადმინისტრაციული ერთეულისაგან, რომელთაგან რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარეობს 7 სოფელი-4 ადმინისტრაციული ერთეული.
ონის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. მუნიციპალიტეტი დედაქალაქიდან დაშორებულია 220 კილომეტრით, ხოლო უახლოესი აეროპორტიდან 30 კმ-ით(ამბროლაურის აეროპორტი).
მუნიციპალიტეტი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მცირერიცხოვანი მუნიციპალიტეტების რიცხვს მიეკუთვნება. ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგენს 5,4 ათას კაცს. ბოლო 10 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 20 %- ით

არის შემცირებული. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა მიგრაციაა. იგი უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარების მაჩვენებლებზე.

5. (გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

● **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;

1. მუნიციპალიტეტის მზაობა ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე გააუმჯობესოს საჯარო და მუნიციპალური სერვისების მიწოდება სხვადასხვა ჯგუფებისათვის. ყურადღების მიღმა არ დატოვოს მოწყვლადი კატეგორიის წარმომადგენლები.
2. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 64 დასახლებულ პუნქტს, რომელთა უმეტესობა დიდი მანძილით არის დაშორებული მუნიციპალიტეტის ცენტრიდან. მაღალმთიანი დასახლებების სიშორე ართულებს მოსახლეობის ჩართულობას სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

გარე ფაქტორები - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მიგრაცია, მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

1. მოსახლეობის ნახევარი სოციალურად მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნება. რაც შესაძლოა გამოიხატებოდეს მათ ნაკლებ დაინტერესებაში ჩაერთონ სხვადასხვა შეხვედრაში და პროცესში ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისას;
2. მიგრაცია;
3. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების სიმცირე, რომლებიც მუშაობენ სამოქალაქო ჩართულობასა და ადამიანის უფლებებზე;
4. დაბალი ეკონომიკური აქტივობა და მცირედ წარმოდგენილი ბიზნეს სექტორი;

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

(მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

გამოწვევა - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;

ადგილობრივი თვითმმართველობის არსი, მათ შორის, მდგომარეობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებაში და მათთვის ხარისხიანი სერვისების მიწოდებაში. იმისათვის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე გაუმჯობესდეს აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება ეფუძნებოდეს მოსახლეობის საჭიროებების კვლევასა და ანალიზს. სწორედ აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის მდგრადი გრძელვადიანი განვითარების დაგეგმვა. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში სამოქალაქო სექტორისა და მოქალაქეების მონაწილეობის დაბალი ინტერესი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ონის მუნიციპალიტეტშიც. ამას თან ერთვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორებთან კონსულტაციების გამართვის მექანიზმების არასრულყოფილება და მუნიციპალიტეტის დიდ ტერიტორიაზე განფენილობა. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 64 დასახლებულ პუნქტს, რომელთა უმეტესობა დიდი მანძილით არის დაშორებული მუნიციპალიტეტის ცენტრიდან. მაღალმთიანი დასახლებების სიშორე ართულებს მოსახლეობის ჩართულობას სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025 თანახმად, „საქართველოს მთავრობის ხედვა დეცენტრალიზაციის პროცესთან მიმართებაში გულისხმობს ადგილობრივი ხელისუფლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და მოსახლეობის აქტიური თანამონაწილეობით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონის ფარგლებში, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტიან და ოპერატიულ გადაწყვეტას, მუნიციპალიტეტის პოტენციალის სრულად გამოყენებას, მდგრად ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებასა და ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას“. ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაზე ახლოა ხალხთან და მას შეუძლია ყველაზე ოპერატიულად მოსახლეობის ყველა წარმომადგენლის საჭიროებებზე რეაგირების მოხდენა. აღნიშნულის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სტრატეგიული დოკუმენტების შექმნის პროცესში მოქალაქეთა ჩართვა.

მოქალაქეთა ჩართულობისა და ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე ონის მუნიციპალიტეტის მერიისთვის პრიორიტეტული საკითხია და ხელს უწყობს როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ისე მოქალაქეებს, ჰქონდეთ რეალური გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. მიუხედავად მერიის მცდელობისა გვაქვს გამოწვევები სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერების კუთხით. ადგილობრივ მოსახლეობას ონის მუნიციპალიტეტში არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება ჩაერთონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში; 2023 წლამდე არ ყოფილა მუნიციპალიტეტში პრეცედენტი, მოსახლეობასთან ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულიყო შეხვედრები მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შექმნის პროცესში.

● **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;

აღნიშნულ პრობლემასთან გასამკლავებლად მუნიციპალიტეტი მცირე რესურსებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ვერ ახერხებდა ისეთი სერვისების, პროექტების, ღონისძიებების თუ გრძელვადიანი პროგრამების შეთავაზებას, რომლებიც უზრუნველყოფდა არსებული გამოწვევების გადაჭრას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში ძალიან მცირეა/არ არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სამოქალაქო ჩართულობაზე.

● **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა არა მხოლოდ ონის, არამედ სახელმწიფოს პრიორიტეტია და დეცენტრაცლიზაციის სტრატეგია 2020-2025 წლების დოკუმენტში გვხვდება. ამავე სტრატეგიაში ვკითხულობთ, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფილი განხორციელება დამოკიდებულია თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვისა და კოორდინაციის თანმიმდევრული და მდგრადი სისტემის არსებობასთან“. შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის მიერ 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში რომ ყოფილიყნენ მაქსიმალურად ჩართული მოქალაქეები, მერიამ შექმნა 21 ადამიანისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი (სამოქალაქო, საჯარო და ბიზნეს სექტორის) მონაწილეობით;

გაიმართა მოსახლეობასთან შეხვედრები მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. შეხვედრებზე თავად თემის მოსახლეობა საუბრობდა თემის გამოწვევების შესახებ და ირჩევდა პრიორიტეტებს; ასევე იღებდა ინფორმაციას სამოქალაქო ჩართულობის ინსტრუმენტებზე, რომლითაც ონის მუნიციპალიტეტში შეუძლიათ ისარგებლონ;

მოსახლეობის მიერ არჩეული პრიორიტეტები აისახა ონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტში, რომელიც მომზადების ბოლო ეტაპზეა და უახლოეს მომავალში დამტკიცდება საკრებულოს სხდომაზე;

განხორციელებული ქმედებების შედეგად:

მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტზე(საშუალოვადინი განვითარების დოკუმენტი) მუშაობის პროცესი გახდა კიდევ უფრო მონაწილეობრივი და გარდა უშუალოდ 21 ადამინით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფისა, მუშავდება მოქალაქეთა უშუალო ჩართულობით და თემატური საბჭოების მონაწილეობით.

მხარდაჭერილ იქნა მოწყვლადი ჯგუფების სჭიროებები და თავად ჩაერთნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეხვედრების ფარგლებში(19 შეხვედრა 19 ადმინისტრაციულ ერთეულში);

ამაღლდა ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა და გაიზრდა მოსახლეობის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიჰყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

● **პროექტის შინაარსი;**

ონის მუნიციპალიტეტის მოქმედი საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის ვადა იწურება მიმდინარე წელს. შესაბამისად დადგა საჭიროება დაწყებულიყო ახალ სტრატეგიაზე მუშაობა. გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ონის მუნიციპალიტეტის მიერ 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში რომ ყოფილიყნენ მაქსიმალურად ჩართული მოქალაქეები, მერიამ შექმნა 21 ადამიანისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი 2023 წლის 14 თებერვალს (სამოქალაქო, საჯარო და ბიზნეს სექტორის) მონაწილეობით;

სამუშაო ჯგუფი გაეცნო საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #264 განკარგულებით დამტკიცებულ „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს“. თავის მხრივ სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობის მაღალ ხარისხს და შეესაბამება დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2020-2025 წლების სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მიღწევას;

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ონის მუნიციპალიტეტის მერიასა და USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამას შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შექმნის პროცესში ექსპერტული მხარდაჭერის აღმოჩენას;

ონის მუნიციპალიტეტის მერიამ ადგილობრივი თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის და ევროპის საბჭოს ერთობლივ პროექტში მოიპოვა დაფინანსება და განახორციელა პროექტი „თემატური საბჭოების შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაძლიერება ონის მუნიციპალიტეტში“. პროექტი მიზნად ისახავდა ადგილობრივ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ნაკლებად წარმოდგენილი თემების და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის ხელშეწყობას და თემატური საბჭოების ინსტიტუციონალურ გაძლიერებას. პროექტი ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტის შექმნისას მოსახლეობის და თემატური საბჭოების ჩართვას და მოსახლეობასთან შეხვედრებს.

წლის განმავლობაში რეგულარულად იკრიბებოდა სამუშაო ჯგუფი და მუშაობდა სტრატეგიის დოკუმენტზე; სამუშაო ჯგუფში განისაზღვრა ტექნიკური ჯგუფი, რომელიც მეტი ინტენსივობით ხვდებოდა და ამუშავებდა მთლიანი ჯგუფის გადაწყვეტილებებს და ასახავდა დოკუმენტში;

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან დოკუმენტზე სამუშაო ჯგუფის წევრების ერთობლივი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან 19 ადმინისტრაციულ ერთეულში(მუნიციპალიტეტში სულ 19 ადმინისტრაციული ერთეული არის). შეხვედრებში ასევე მონაწილეობდნენ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი და დეპუტატი. შეხვედრები მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შექმნას მოქალაქეებთან კონსულტაციის გზით; მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩასართავად და მათი საჭიროებების დასაიდენტიფიცირებლად. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები: ონის კვების მრეწველობის კლასტერი; ონის ტურიზმის კლასტერი; რაჭის სიძველეთა დაცვის ფონდი; ასევე მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან დოკუმენტზე სამუშაო ჯგუფის წევრები; მერის მრჩეველი სამოქალაქო საკითხებში; ახალგაზრდული მუშაკი ონის მუნიციპალიტეტში და გენდერზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ამავდროულად არის „ქალთა ოთახის“ მენეჯერი; ონის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო; მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო; გენდერული თანასწორობის საბჭო;

შეხვედრების შემდგომ თითოეულმა საბჭომ მოაწყო შიდა შეხვედრა და მოსახლეობის საჭიროებები ასახა სამუშაო ოქმებში, რომლებიც შემდგომ საბჭოების მიერაც რეკომენდაციების სახით წარედგინა მერს და მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან დოკუმენტზე სამუშაო ჯგუფის წევრებს.

საბოლოოდ კი თითოეულ თემში თავად მოსახლეობის მიერ პრიორიტეტულად გამოკვეთილი საკითხი ერთობლივი შეთანხმებით, მერისა და სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით აისახა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დრაფტ ვერსიაში(საბოლოო ვერსია დამტკიცდება საკრებულოს სხდომაზე მიმდინარე წლის ნოემბერში/დეკემბერში).

უნდა აღინიშნოს სამიზნე თემებში მოსახლეობის უკუკავშირი იყო დადებითი, მათ აღნიშნეს რომ არასოდეს ჰქონიათ მსგავსი ფორმატის შეხვედრა და არ იცოდნენ საბჭოების არსებობის შესახებ. აქვთ პოზიტიური მოლოდინი იმისა რომ მათ მიერვე არჩეული საკითხი გათვალისწინდება და ისურვეს მსგავსი სახის შეხვედრები უფრო ხშირად ჩატარდეს, „რადგან გრძნობენ რომ უსმენენ“.

● პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი

- პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;
    - მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმები;

- მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო მასალა;
- თემატური საბჭოების შეხვედრების ოქმები და ფოტო მასალა;
- თემატური საბჭოებისა და მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან დოკუმენტზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;

● **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ**

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები:

- ონის კვების მრეწველობის კლასტერი;
- ონის ტურიზმის კლასტერი;
- რაჭის სიძველეთა დაცვის ფონდი;
- ონის მერის ახალგაზდული მრჩეველთა საბჭო;
- მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო;
- გენდერული თანასწორობის საბჭო;
- „ქალთა ოთახი“

USAID „ძლიერი სოფლის პროგრამა“

●ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:

ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;

საკუთარი რესურსი:

პროექტის დაგეგმვის, განხორციელების ყველა ეტაპზე ჩართული იყო მერის მრჩეველი სამოქალაქო საკითხებში- **თამარ ხომასურიძე;**

პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ჩართულები იყვნენ:

სერგო ხიდეშელი - ონის მუნიციპალიტეტის მერი;

გიორგი ნოდარიშვილი - ონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

ლევან შერაზადიშვილი - ონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ბაჩანა მარკოიშვილი - ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გენდერულ საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე;

ანა ლებანიძე - II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;

ელენე ჩიკვილაძე- გენდერზე პასუხისმგებელი პირი ონის მუნიციპალიტეტის მერიაში და ამავდროულად „ქალთა ოთახის“ მენეჯერი;

თეიმურაზ გრძელიშვილი - ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელი;

თინათინ ბროლაშვილი - ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი;

ნინო მეტრეველი - ონის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების ხელმძღვანელი;

ნინო მეტრეველი - ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში;

მანანა ჩაგელიშვილი -ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ხელმძღვანელი, ონის მუნიციპალიტეტის მერიის შშმპ საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

გივი ბენდიანიშვილი - ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი;

პროექტში ჩართული არასაკუთარი ადამიანური რესურსი:

USAID ძლიერი სოფლის პროგრამის წარმომადგენლები ელენე გოცაძე და თათია ბჟალავა;

USAID ძლიერი სოფლის პროგრამის დაქირავებული ექსპერტი ზვიად არჩუაძე;

ლუკა რაზმაძე - ინდივიდუალური მეწარმე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ინგა მეტრეველი - ა(ა)იპ რაჭის სიძველეთა შესწავლისა და დაცვის ფონდი

(საიდენტიფიკაციო ნომერი 437976022);

დალი რაზმაძე - ონის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს წევრი,

ონის საჯარო სკოლის დირექტორი, სამუშაო ჯგუფის წევრი

მანანა ბოლქვაძე - ა(ა)იპ ონის ტურიზმის კლასტერის (საიდენტიფიკაციო

ნომერი 437979494) მენეჯერი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თენგიზ აკობია - ა(ა)იპ ონის კვების მრეწველობის კლასტერის

(საიდენტიფიკაციო ნომერი 437979537) მენეჯერი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ისმაილ ამშიკაშვილი - მერის სამოქალაქო საბჭოს წევრი, სამუშაო ჯგუფის

წევრი;

სალომე გობეჯიშვილი- სოფლის განვითარების სააგენტო, ონის

საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, სამუშაო

ჯგუფის წევრი;

ნინო ჩიხრაძე - ა(ა)იპ რაჭის ახალგაზრდული ასამბლეის წევრი

(საიდენტიფიკაციო ნომერი 422990641), ონის მუნიციპალიტეტის მერის

ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს მდივანი;

ლელა ზაქარაია - ონის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;

პროექტში გათვალისწინებული იყო 4 ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან შეხვედრა განხორციელდა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მიერ დაფინასებული პროექტის„ონის მუნიციპალიტეტში თემატური საბჭოების შესაძლებლობების და ეფექტურობის გაძლიერება“ ფარგლებში. დანარჩენ 15 ადმინისტრაციულ ერთეულში შეხვედრების ორგანიზებისთვის ფინანსური რესურსი გაიღო მერიამ(ავტოტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფა).

გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

შეხვედრები ადმინისტრაციულ ერთეულებში რიგ შემთხვევაში დაორგანიზდა ადმინისტრაციულ შენობებში; ხოლო ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ონი მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შენობაში;

ბეჭდვითი და საკანცელარიო რესურსი გამოყენებული იქნა მერიის რესურსიდან.

● პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა

● ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;

USAID „ძლიერი სოფლის პროგრამა“

8. მიღწეული შედეგები და დადებითი გავლენა

მოქალაქეთა ჩართულობით ხდება ონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შექმნა, რომელშიც ასახულია ადმინისტრაციულ ერთეულებში შერჩეული პრიორიტეტები;

მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტზე(საშუალოვადინი განვითარების დოკუმენტი) მუშაობის პროცესი გახდა კიდევ უფრო მონაწილეობრივი და გარდა უშუალოდ 21 ადამინით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფისა მუშავდება მოქალაქეთა უშუალო ჩართულობით და თემატური საბჭოების მონაწილეობით.

მოსახლეობა ჩაერთო გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეხვედრების ფარგლებში;

ამაღლდა ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა და გაიზრდა მოსახლეობის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით განსაზღვრული მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტის(საბჭოების) გამოყენება მოქალეთა ჩართულობის გასაზრდელად.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები

მოსახლეობასთან გამართული შეხვედრები უაღრესად მნიშვნელოვანია და როდესაც ერთობლივად ხდება გადაწყვეტილების მიღება პროცესი უფრო ხარისხზე/შედეგზე ორიენტირებული, მარტივი და ჯანსაღია.
მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტზე(საშუალოვადინი განვითარების დოკუმენტი) იქმნება მოსახლეობის საჭიროებებზე დაყრდნობით, მათთან კონსულტაციით.
● წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები (მ.შ. კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);
ადგილობრივი თვითმმართველობის მზაობა და სურვილი ჩართოს მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

ნდობის მოპოვება და შენარჩუნება;

●ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება:

ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში ასახული ცვლილება;

გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;

დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

შეხვედრების შედეგად თავად მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი საჭიროებები და პრიორიტეტები ასახულია ოქმებში. იგივე პრიორიტეტები შესაბამისად აისახა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტში, მომდევნო წლის ბიუჯეტში და პრიორიტეტების დოკუმენტში.

10. **საკრებულოს როლი**

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისთვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდებულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ:**

პროექტის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების პროცესში ჩართულია საკრებულო. საკრებულოს პასუხისმგებელი პირი (საკრებულოს თავმჯდომარე) ესწრება სამუშაო შეხვედრებს. საკრებულოს თავმჯდომარე გახლავთ ონის მუნიციპალიტეტის სასუალოვადიანი დოკუმენტის სამუსაო ჯგუფის წევრი.

საკრებულო ამტკიცებს ონის მუნიციპალიტეტის სასუალოვადიანი განვითარების დოკუმნეტს.

11. **პრაქტიკასთან/ინიციატივასთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა:**

საშუალოვადიანი დოკუმენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესთან დაკავშირებული ანგარიშგება მოსახლეობასთან და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის განახლება მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით;

12.**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

თამარი ხომასურიძე-ონის მერის მრჩეველი სამოქალაქო საკითხებში.
მობილური: 598913089

ელ-ფოსტა: tamar.kh10@gmail.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
-

    1. თამარი ხომასურიძე-ონის მერის მრჩეველი სამოქალაქო საკითხებში.
       მობილური: 598913089 ელ-ფოსტა: tamar.kh10@gmail.com

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

- პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;
- მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმები;
- მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო მასალა;
- თემატური საბჭოების შეხვედრების ოქმები და ფოტო მასალა;
- თემატური საბჭოებისა და მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან დოკუმენტზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან დოკუმენტზე სამუშაო ჯგუფთან შეხვედრის დამადასტურებელი დასწრების სია;

განაცხადის მიღების ვადაა 2023 წლის 10 ოქტომბერი- 17 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge